ოქმი:**ო08. 3724086001**

თარიღი:**26/03/2024**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 26 მარტი
ქ.ოზურგეთი
11.00 -11.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე, ტ, არუშიძე, პ. სალუქვაძე, თ. ტუღუში, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომოკური გაძლიერების (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, აღნიშნა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა 39-მა ბენეფიციარმა, აქედან, კონკურსის შედეგად, გამოვლინდა 13 გამარჯვებული ბენეფიციარი, რომლებმაც მიიღეს დაფინანსება, შემდეგ კონკრეტულად გააცნო გამარჯვებული პროექტები. უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი